



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 191

2016 წლის 16 სექტემბერი

„სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2016 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების სამეცნიერო მიმართულებების/ქვემიმართულებების მიხედვით დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“  
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 17 აგვისტოს N 169 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნინო გაჩეჩილაძის სამსახურებრივი ბარათის (N1089111, 16.09.2016) საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2016 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების სამეცნიერო მიმართულებების/ქვემიმართულებების მიხედვით დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 17 აგვისტოს N169 ბრძანებით დამტკიცებულ დანართში და დაემატოს § 6 შემდეგი რედაქციით:

“§ 6. დამატებითი პირობა პროექტების დაფინანსების შესახებ

ამ წესის შესაბამისად საუკეთესო პროექტების გამოვლენის შემდგომ, კონკურსისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის ფარგლებში აუთვისებელი თანხით ფინანსდება 18- ზე მეტი ან ტოლი ქულის მქონე დარჩენილი პროექტები ერთიანი რანჟირებული სიიდან (ზევიდან ქვევით) სამეცნიერო მიმართულებების გაუთვალისწინებლად, სანამ კონკურსის ბიუჯეტი იძლევა პროექტის სრულად დაფინანსების საშუალებას“.

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

